სამი ბურთი “ყაირათის” კარში

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 15 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ყაირათი” (ალმა–ათ) 3:0 (2:0).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (ჭელიძე), მჭედლიშვილი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, წერეთელი (ებრალიძე).

“ყაირათი”: ორდაბაევი, კრუგლიხინი, ჟუიკოვი, ბაიშაკოვი, ასილბაევი, ოსიანინი, კატკოვი (მიხაილინი), სიომინი, იონკინი, როჟკოვი, პიუნოვსკი.

მსაჯი: ა. ვასილიევი (ხარკოვი).

დუბლიორები – 1:0 “ყაირათის” სასარგებლოდ.

ბედი მატჩისა, რომლის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის “დინამოსთვის”, ფაქტიურად პირველ 10 წუთში გადაწყდა. დასაწყისში მასპინძლები ენერგიულად, სწრაფად, ტემპიანად თამაშობდნენ. შეტევაში მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც: მოიერიშეთა შორის იყო ხურცილავაც. სწორედ ხურცილავამ “გამოსცადა” ალმაათელთა მეკარე ორდაბაევი რამდენიმეჯერ და მისმა ერთ–ერთმა დარტყმამ დაახლოებით 25 მეტრიდან მიაღწია კიდეც მიზანს. მეკარე მისწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეძლო მისი ხელში შეჩერება – 1:0.

“ყაირათმა” მაშინვე სცადა მდგომარეობის გამოსწორება და თითქმის მთელი შემადგენლობით გადავიდა შეტევაზე. დინამოელებმა მოიგერიეს ბურთი, ნოდიამ დაუყოვნებლივ, ზუსტად გადასცა იგი წინ გუცაევს და დინამოელთა მარჯვენა გარემარბმა ჟუიკოვისა და ასილბაევის თანხლებით სპრინტერული სისწრაფით გადალახა მინდვრის ნახევარი. ამ გარღვევის დასასრულს ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ფორვარდი და მეკარე. გუცაევმა არ იჩქარა, მოატყუა მეკარე და გოლის გატანის ასპროცენტიანი შესაძლებლობა შექმნა – 2:0.

მატჩის დასაწყისიდან სულ 10–12 წუთი იყო გასული, სტუმრები კი უკვე 2 ბურთით აგებდნენ მატჩს. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდი არ შერიგებია დამარცხებას და ფარ–ხმალი არ დაუყრია. პირიქით, ალმაათელებმა გააძლიერეს შეტევა, გოგიას მოუხდა როჟკოვის ძალიან ძნელი ბურთის აღება, კარგი შესაძლებლობა მიეცათ სიომინს, პიუნოვსკის. “ყაირათის” იერიშები ერთხანს საკმაოდ აქტიური იყო, მაგრამ დინამოელებმა მოიგერიეს შეტევები და ტაიმის ბოლოს თამაშმა ისევ საფუძვლიანად გადაინაცვლა მოპირდაპირე მხარეს.

შესვენების შემდეგ ალმაათელებმა კვლავ სცადეს მდგომარეობის შეცვლა, განსაკუთრებით ცდილობდნენ მიხაილინი, პიუნოვსკი, რიჟკოვი, კვლავ მოუხდა ძნელი ბურთების აღება გოგიას.

თბილისელთა გამარჯვება ფაქტად იქცა 50–ე წუთზე. ძოძუაშვილმა მარჯვენა ფლანგზე შეასრულა რეიდი, შემდეგ დროით მიაწოდა კარის წინ ნოდიას, ამ უკანასკნელმა თავით შეუცვალა ბურთს მიმართულება და იგი ბადეში აღმოჩნდა – 3:0.

3 “შრალი” გოლი საუკეთესო შენაძენი იყო დინამოელთათვის იმ რთულ სატურნირო სიტუაციაში, რომელიც ახლაა საკავშირო ჩემპიონატში. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესმა სხვაობამ შეიძლება რამდენიმე ადგილით უპირატესობა მისცეს გუნდს. ამას გარდა, დინამოელებს საერთოდაც სჭირდებოდათ შედეგიანობის

გაზრდა. ამ მატჩის დიდი ანგარიშით მოგებისთვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, თუმცა საჭიროდ მიგვაჩნია ისიც აღვნიშნოთ, რომ გუნდმა აღარ იზრუნა შედეგის გაუმჯობესებისთვის, უკლო შეტევას, ნაადრევად გადავიდა ბურთის დაყოვნებულ გათამაშებაზე მინდვრის შუაგულში, გახშირდა გადაცემები უკან, მეკარისკენ. ალმაათელებმა სული მოითქვეს და ბოლო 20 წუთი საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს. თბილისელებს ვერაფერი სარგებლობა მოუტანა წერეთლის ებრალიძით შეცვლამ. ამ ცვლილების შემდეგ მარცხენა ფლანგი მთლიანად გამოერთო იერიშს, ანგარიში 3:0 დროდადრო რეალური საშიშროების წინაშე იდგა.

მაგრამ, ასე თუ ისე, დიდი ანგარიში არ შეცვლილა და გამარჯვებამ თბილისელ ფეხბურთელებს შესამჩნევად გამოუსწორა მდგომარეობა გათამაშების ცხრილში. ახლა პერსპექტივები ურიგო არაა და მით უფრო საჭიროა შეუპოვარი, თავგამოდებული ბრძოლა ახალი წარმატებებისთვის.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 17 ივლისი, 1973 წ.